

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ინტერესების კვლევა  
ფოტოვოისის მეთოდის გამოყენებით

მაია ჯამბაზიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი MSW; PhD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

## განაცხადი

*როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

მაია ჯამბაზიშვილი ----- 27.06.2016

## აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი მოიცავს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ინტერესების კვლევას, ფოტოვოისის მეთოდის გამოყენებით. აგრეთვე, მოცემული კვლევის მიზანია კარიტასის დღის ცენტრისა და სადღეღამისო თავშესაფარში მცხოვრები ბავშვების უკეთ გაცნობა, მათ მიერ დანახული ცხოვრების “მნიშვნელოვანი მხარეების” ასახვა და მათი ყოველდღიური სამყაროს დადებითი და უარყოფითი ასპექტების უკეთ შეცნობა. კვლევისას უშუალოდ გამოყენებულ იქნა Photovoice-ის მეთოდი, აგრეთვე ნახევრად სტრუქტურირებული პირისპირ ინტერვიუ. კვლევა ასევე მოიცავდა მონაწილეთა ბედნიერებისა და საკუთარ თავში დარწმუნების დონის განსაზღვრას, რისთვისაც გამოყენებულ იქნა შესაბამისი საკვლევი შკალები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტები :

- ბავშვებს აქვთ უშუალო მიჯაჭვულობა კარიტასის „თბილ სახლთან“. ცენტრში არსებული სიტუაცია და ემოციური სიახლოვე თითოეულ იქ მყოფ პერსონალთან მათთვის კომფორტული გარემოს შემქმნელია.
- ცენტრის სერვისით მოსარგებლე ბავშვები არიან უბრალოდ ბავშვები და მათაც აქვთ იგივე ბავშვური ინტერესები რაც დამახასიათებელია მათივე ასაკის სხვა ბავშვებისთვის. ისინიც თამაშობენ ფეხბურთს, „დაჭერობანას“, ფრენბურთს, „კლასობანას“ და სხვადასხვა კომპიუტერულ თამაშებს.
- მეგობარი, როგორც მათი ცხოვრების უშუალო შემადგენელი ნაწილი.
- რელიგია და რწმენა არის ბავშვებისთვის გამამდიერებელი და იმედის მომცემი.
- ოჯახთან გაწყვეტილი ემოციური კავშირები, გამომდინარე ოჯახში არსებული კონფლიქტური სიტუაციებიდან.
- სკოლას და სწავლას ნაკლებად უჭირავს მნიშვნელოვანი ადგილი მათ ცხოვრებაში.
- ბავშვებს აქვთ ნაკლები პასუხისმგებლობა სხვების მიმართ.

- კონკრეტული მომავლის იმედები დაკავშირებული კარიერულ წინსვლასთან.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, რათა შემდგომ მოხდეს ბავშვების ინტერესების გათვალისწინება, მათი როგორც ინდივიდის უკეთ გაცნობა, მათი ინტერესების დანახვა და მათზე მორგებული უკეთესი სერვისების შეთავაზება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, „საქართველოს კარიტასი“, მიჯაჭვულობა, პრივაცია, მონაწილეობითი კვლევა, ფოტოვოისი.

## **ABSTRACT**

Presented research project covers investigation of interests of children living and working on the streets. The research uses photovoice method and aims

- to meet the children, living in caritas daycare centers or night shelters, closer.
- to reflect the ‘important matters’ of life regarded by them.
- to perceive the positive and negative aspects of their everyday real-world.

Along with the photovoice method, a semi-structured interview has been utilized in the research as well. Also, adequate research scales were used for evaluation and determination of the level of happiness and self-confidence of the participants.

In consequence of the research the following significant aspects have been emerged:

- Caritas ‘warm house’ plays important role in children’s lives. The existing situation in the centre and establishing emotional closeness to staff members are very critical;
- Children who live in daycare centers are - just children and they have the same interests as other children, they play the similar games such as football, volleyball, hopscotch, touch or different computer games;

- Friends play a great role;
- Religion and faith give children hope, make them stronger;
- Children are less focused on families, in both positive and negative contexts. They do not want to speak about their families because of missing family links and conflict situations in their families;
- Children do not care about schools, about becoming educated
- Because of psychogeny conditions children feel less responsibility to others, they frequently fail in autosuggestion and have lower level of happiness
- Specific hope for their future is connected with the career advancement.

The results of the research are vital in order to foresee the interests of children, get to know them as individuals, see their interests and offer them well adapted services.

Keywords: children living and working on the streets, “Caritas Georgia”, dependence, privacy, participating research, photovoice.